ნონა მიქელაძე

წერილი თოვლის ბაბუას

კითხვის დონე – 4.1 (ქართული ენა როგორც მეორე ენა)

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისორეხვიაშვილს,რომლებმაცპაატაპაპავასხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ნატა პატარა გოგოა. ძალიან უყვარს ახალი წელი და საჩუქრები. ახალი წლის წინ ნატა თოვლის ბაბუას წერილს სწერს. შემდეგ თოვლის ბაბუას საჩუქრები მოაქვს მისთვის.

ნატამ წელსაც მისწერა თოვლის ბაბუას წერილი. მერე მამას მისცა და სთხოვა:

– მამა, გთხოვ, ეს წერილი თოვლის ბაბუას გაუგზავნე!

მამამ წერილს დახედა.

– ნატა, ეს რა არის?! რატომ დაწერე ქართულად და ინგლისურად? – ჰკითხა გაოცებულმა მამამ.

– იცი, მგონი, თოვლის ბაბუამ ქართული კარგად არ იცის! – უპასუხა ნატამ.

– რატომ გგონია, რომ არ იცის?

– შარშან ქართულად დავწერე. თოვლის ბაბუამ ალბათ კარგად ვერ გაიგო. ყველაფერი მომიტანა ველოსიპედის გარდა. ამიტომ წელს ინგლისურადაც დავუწერე, – უპასუხა ნატამ.



– ძალიან ჭკვიანი გოგო ხარ! წელს თოვლის ბაბუა ყველა საჩუქარს მოგიტანს! – სიცილით უთხრა მამამ.

მამამ წერილი ჯიბეში ჩაიდო და ველოსიპედების მაღაზიაში წავიდა.

თქვენც მისწერეთ თოვლის ბაბუას წერილი